შადენფროიდე ქართულ პოლიტიკურ სივრცეში: სოციალური და ინდივიდუალური დონის პრედიქტორები

ანზორ ჯანჯღავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანზორ ჯანჯღავა

18.06.2024

აბსტრაქტი

ქართული პოლიტიკური სივრცე პოლარიზებულია და ხშირია აქტორების მხრიდან ერთმანეთის მიმართ დაპირისპირება. პოლიტიკოსები, აქტივისტები და პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები ღიად გამოხატავენ ნეგატიურ დამოკიდებულებას თავიანთი ოპონენტის მიმართ, მათი მარცხის ან წარუმატებლობის შემთხვევაში კი, არ ერიდებიან სიხარულის გამოხატვას. საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა ემპირიული კვლევა, რომელიც შეისწავლიდა შადენფროიდეს, ასევე, გაარკვევდა, თუ რა ფაქტორები წინასწარმეტყველებენ მას. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, რაოდენობრივი მეთოდით, კვაზი ექსპერიმენტული და კორელაციური დიზაინით გაერკვია, თუ რა ფაქტორებს შეაქვთ წვლილი აღნიშნული დამოკიდებულებების პროგნოზირებაში. 187 ქართველი ამომრჩევლის გამოკითხვის შედეგად ჰიპოთეზები ნაწილობრივ დადასტურდა: მაკიაველიზმი და ჯგუფური მიკუთვნებულობა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შადენფროიდეს 18%-ით წინასწარმეტყველებენ. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ადამიანის მაკიაველიზმის დონე მაღალია, იზრდება შადენფროიდეს დონეც, ხოლო თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ ძლიერი მიკუთვნებულობა აქვს, დიდი შანსია, რომ მოწინააღმდეგე პარტიის წარუმატებლობაზე დადებითი რეაქცია ჰქონდეს. ასევე, შადენფროიდეს დონე მამაკაცებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებში. რაც შეეხება ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ თვითშეფასება იწინასწარმეტყველებდა შადენფროიდეს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, არ დადასტურდა. კვლევის ძირითადი შეზღუდვები მოიცავდა მონაწილეების რაოდენობას და შერჩევის ტიპს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შადენფროიდე, ქართული პოლიტიკური სივრცე, ქართველი ამომრჩევლები, თვითშეფასება, მაკიაველიზმი, ჯგუფური მიკუთვნებულობა, სქესი.

Abstract

The Georgian political space is polarized and there are frequent confrontations between the actors. Politicians, activists, and political party supporters openly express their negative attitude toward their opponents, and in case of their defeat or failure, they do not hesitate to express their joy. To date, no empirical research has been conducted in Georgia that would study schadenfreude and find out what factors predict it. The aim of the present study was to find out, using a quantitative method, a quasi-experimental and correlational design, what factors contribute to the prediction of these attitudes. As a result of the survey of 187 Georgian voters, the hypotheses were partially confirmed: Machiavellianism and in-group affiliation predict schadenfreude by 18% in the Georgian political space. This means that if a person's level of Machiavellianism is high, the level of schadenfreude increases, and if he has a strong affiliation to a political party, there is a good chance that he will react positively to the failure of the opposing party. Also, the level of schadenfreude was higher in men than in women. As for the hypothesis that self-esteem would predict schadenfreude in the Georgian political space, it was not confirmed. The main limitations of the study included the number of participants and the type of sampling.

Keywords: Schadenfreude, Georgian political space, Georgian voters, self-esteem, Machiavellianism, in-group affiliation, sex.